ვახტანგ ჭანტურია

# დაპაუზებული იუმორი



ვახტანგ ჭანტურიძე

# დაპაუზებული იუმორი

გორი
2021

# წინათქმა

ტელეეკრანებზე კადრების დაპაუზების ტექნიკურმა შესაძლებლობამ დაბადა იდეა ცალკეული მომენტები მექცია ფოტოგამოსახულებად და ლიტერატურული ხერხების გამოყენებით შემექმნა ღიმილისმომგვრელი სიუჟეტები.

საკმაოდ დაბალი ხარისხის მობილური ტელეფონით დავაფიქსირე ორიოდე ათეული კადრი და პატარა წიგნის ფორმატით ვთავაზობ ჩვენს მკითხველს.

იმედი მაქვს, ოდნავ შვებას მაინც მივცემ ყოველდღიურობით გადატვირთულ ადამიანებს და ღიმილს მოვფენ მათ სახეებს.

ველი შენიშვნებს, რჩევებს, სურვილებს.

**ავტორი**

# ლომი და ჟირაფი



ნადირთ მეფემ მკაცრად უთხრა
გრძელკისერა ჟირაფს:
ხარკს მომიტან – როგორც სხვები,
იპოვნი ჩემს „ბინას“.

არ მომიტან?! – მწარედ დაგსჯი
(სიტყვა მოკლედ მოჭრა),
ჟირაფმა კი მკვახედ უთხრა –
„ფეხებსაც ვერ მომჭამ“.

სურათზე კი რა ფონია?!
გამოცდაა კვეხნის?!.
სტუმრის ხელზე ამბორია
თუ მოჭმაა ფეხის?!

# შეშინებულ - გაოცებულ -








აზრი გზა-გზა იბადება,
გვჯერა, როდი ვკამათობთ...
გაოცებულ სიფათებსაც,
შეუძლიათ გაგვართონ.





# გაოგნებულები

  

რის კაკანათი, რა მახე,
რამ შეგძრათ, რამ გაგაოცათ?!.
განა ისეთი რა ნახეთ,
სიფათს რომ ჭმუჭნით საოცრად?

  

  

# ვაჰჩვენ!



ტლოკ-დუნდულებს (ნეტავ, რატომ?!)
გვთავაზობენ ნიაღვარად?..
ალბათ, შერცხვა ოპერატორს,
ყვავილი რომ მიაფარა.



# ძაღლი და წერო

დღეს არ მომწონხარ, ძმობილო,
რაღაც ბზარი გაქვს ხმაში.
კბილი თუ გტკივა, ვერ იტყვი?!
მოგაძრობ ერთ-ორ წამში.

# ბიჭო.....!



მუშტებს რომ იქნევ,
დაფიქრდი,
რაღაც გეშლება
,,შეჩემა“...
ერთმანეთს ვერა
დააკლეს,
არბიტრი შემოეცემათ.

# კალათბურთელი



,,...მითხარ, სად მიგაქვს
ეგ ბურთი,
რატომ ჩაშალე
შეტევა?!
თუ გადამალვას
უპირებ,
იცოდე, არ შეგეტევა.

# ბუტია



რა მოგდის, ჩვენო პატარავ,
რად იბღვირები დღეს?!
დედისა თუ აღარ მოგწონს,
თხისას მოგართმევთ რძეს.
ან
რად „აფასებ“ აგრე ამაგს?!
ჰგავხარ ნაწყენ მოჰიკანს,
თუ დედის რძე არ გეამა,
უმალ თხისას მოგიტან.



# ცუგა!
# აბა შენ იცი...

რანაირი ხუმრობაა,
რა წესების, რა მოდის?!
ძაღლი ტრუსის ჩახდას ცდილობს,
არაფერი გამოსდის.

# ზოოპარკში



რას აღარ ნახავთ
ზოოლოგპარკში,
ბევრს მოაგროვებთ
სხვებისთვის სათქმელს.
„თუ გული გულობს“ მიაწვდის ბავშვიც
ჭრელ ჟირაფს სასმელს ან ტკბილად საჭმელს.

# ჩიტი-გვრიტი



სკუპ-სკუპით მიჰქრი ზევით და
ზევით
არ კარგავ იმედს – იხილავ
კოსმოსს,
შეჩვეულ სივრცეს ნუ ტოვებ ნებით,
გაუცხოვება არავის მოსწონს.
ჯახირობ – გასცდე ამკრძალავ ზღუდეს
(აზრი მაცდური ეთერში ფრინავს),
გთხოვ, ნუ დატოვებ მშობლიურ ბუდეს,
უკეთესს ვერსად იპოვნი ბინას!

## მადიანი გოგონა



ვარჯიშობს თაფლის
ლოკვაში,
მალე აჯობებს მამას,
გამოადგება ყოფაში,
ვერვინ დაუგებს ხაფანგს.
როდი ადარდებს წონის ზრდა,
არც აქ დაუთმობს მამას,
თუმც ჯერ ვერავინ მოხიბლა,
რა ქნას – ვერ „იჭერს ქამარს“.

* * *



ვერ ვასწავლეთ თერძებს
ვერა,
დარიგებამ არ იკმარა...
ცოტა დიდი შეეკერათ,
რომ ლაბაბიც დაეფარა.



# ძმაკაცების დამშვიდობება

საქარე მინას თუ ჩამოწევ,
გჯეროდეს ჩემი,
არ დაგიბერავს, არ შეგხვდება არა ხველება,
მეც, ალბათ, მალე მოგაკითხავ ფეხით, ან გემით,
მშობლებთან ერთად ზღვაზე წასულს დასასვენებლად.



# მგზავრსაც ხომ უნდა შერჩევა!

სიმძიმის ცენტრი რად ულირს,
სულით ძლიერს და მედგარს...
შიში არა აქვს პატრულის,
ცხენივით ყალყზე შემდგარს.

# აი ტუჩები........!



მეთევზე ბადეს აირჩევს რომელს?..
თევზებს არ უყვართ წვრილუჯრა
ბადე...
მსგავსი ფართობის ტუჩების
მფლობელს,
სად გაექცევა ქალწულის ბაგე?!

# აჩუკუდა



კურიოზს აბა რა გამოლევს
ფეხბურთში თუნდაც,
მთავარი არის დაინახო,
შენიშნო დროზე,
ტვინი ალესო და კალამი
მომართო უნდა,
ბევრნაირია, ვერ ჩამოთვლი
ნორმებს და დოზებს.

ქვევიდან ზევით ხმა გაისმის ვედრების ტონით,
ოღონდ გადმოდი, დამითმია ეს ბურთი შენთვის,
მსუბუქი მაინც ყოფილიყავ ძვალ-რბილის წონით...
ვმარცხდები, ვატყობ, საამაყო არარა მეთქმის.

პასუხად სიტყვამ გაიჟღერა ზემოდან ქვემოთ:
„ერთი პირობით გადმოვალ თუ თანხმობას მომცემ,
(კარგი ყოფილა „აჩუ-აჩუ“ გავუგე გემო)
გოლს არ გაგვიტან და უბურთოდ იხტუნებ მოლზე.

# „სნუკერის“ მაგიდასთან




უნარი შემწევს აღქმის, მოსმენის,
რაღა ვინატრო მქონდეს სხვა მეტი?!
სურათს ვუცქერ და ვერ ამოვხსენი,
ბალეტია თუ კორდებალეტი!

# ტუჩები თუ?

ნეტავ რა არის, ვერ ავხსენი
ფხიზელი ფიქრით,
იქნებ კვირტია ბროწეულის,
ანდა პიონის,
იქნებ ხვრელია სამყაროსი
უცნობი ჭიშკრით?...
ჩანს, ამოცნობა არ იქნება,
ალბათ, იოლი.





* * *

სხვების მიბაძვა სწადია გულით,
არ უნდა თავი იგრძნოს ხიფათში,
პირბადისათვის არ ჰქონდა ფული
და დინგი ჩაჰყო ერბოს ქილაში.

# ზეწოლა...







ზეწოლა მოხდა უხეშ-გუნდური,
მრავალს მოსტაცეს
„ძილი ნებისა“...
გამოფენაა ტრუსებ-დუნდულის,
თუ შეჯიბრია ბიკინებისა?!?!






















# იფ-იფ!..



როდი აპარტყუნებს ყურებს,
მთელი ეშხით ყნოსავს-მგონი..
გაშმაგებით რომ დაჰყურებს,
რა უნახა მოსაწონი?!
ძვლებ-ხორცი რომ მზერას გტაცებს...
ზღვას გახედე - რა ფონია,
ტუჩ-კბილი რომ გიკაწკაწებს,
საჭმელი ხომ არ გგონია..

* * *



სარკეში პრანჭვა-კეკლუცით
აღზრდილს,
ფიქრობ მოგცემენ რამე წოდებას?!
შეშინებული რომ ტირის ბავშვი,
ნუთუ ოდნავაც არ გეცოდება?!

# პირია თუ გამოქვაბული

   

უნდა ვიაროთ უფლის გზით,
ჩვენი ეპოსი ვის აქებს?
ვისი ჰანგიც ქღერს ნუკრის ხმით,
თუ მას, ვინც ბღავის მისამღერს?!
დიდი და მსუყე ლუკმისთვის,
ნუ იმახინჯებთ პირსახეს.

# საით გაგირბის მზერა?



ვიცი, რომ ბევრ კაცს
ვუყვარვარ,
ბევრიც გავტანჯე წვალებით,
შენ კი – მითხარი,
თუ ძმა ხარ,
საით გაგირბის თვალები?!

# მიკროფონი

ქურნალისტს რთული საქმე აქვს,
აოცებს ყველა ჩვენგანს,
მიკროფონს ხან ვის ატაკებს,
ხან ვის სთავაზობს ეკრანს.
მუდამ პოულობს ვიწრო ფონს,
შრომობს ხან ღამე, ხან დღე,
პირველად ვნახე – მიკროფონს
წინა კბილებით ხრავდნენ.



* * *



სადღაც მსმენია „ბაქოს ქარტია“,
ვიცი, რა არის კარტოგრაფია,
მახსოვს, ვსწავლობდი ავტოკრატიას...
წვერგასაპარსი ლოყის გალოკვა –
ნეტავ ამიხსნან, რა „ფოდრატია“?!

# კოცნაც ასეთი უნდა



საუკუნე გავისტუმრეთ კინწისკვრით,
გვყავდა ჩვენი დონკიხოტიც,
სინდბადიც,
ბევრი რამე შევისწავლეთ, ისიც კი –
როგორ უნდა კოცნაობა პირბადით.

* * *

სიტყვა „მიყვარხარ" ველარ თქვეს,
პირბადით შებოჭილებმა,
რადგან „კორონამ" „გაჩითა"
თავშისატეხი დილემა:
ქართულ პირბადეს თუ იხმართ,
ნუ აქებთ მკერავ-ხელოსანს,
პირბადე ორმხრივ ატარებს
ვირუსსაც, ტუჩის გემოსაც.



## „მორდა"



ნეტავი გამაგებინა
ჩემს ირგვლივ ჭორებს ვინ ბადებს,
უჯობთ სიფათზე მომარგონ
შესაბამისი პირბადე.

# ღიპოსნები



მას თავი მოსწონს, რომ ატარებს
უცხო პირბადეს,
მე ასე ვფიქრობ, რომ სჭირდება
უფრო ჭიპბადე...



მკაცრად სთხოვენ რომ
ატაროს პირბადე,
არ აწყენდა, თუ
მოირგებს ჭიპბადეს.

***მომისმინე, ბიჭო...***
***ხომ გახსოვს გამონათქვამი:***
***„...თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო“!***

ჭამა რომ გიყვარს ფერზე გეტყობა,
ამას გვანიშნებს მგონი სტომაქიც,
ფულის და ჯიბის მოგწონს ერთობა,
საჭმლის შეძენის გრანტი რომ არის.
რამ ჩაგიხია ჯიბე სიგრძეში?
ჭამ გამუდმებით – რა საათს, რა წუთს,
ხშირად აკითხავ ჯიბის სიღრმეში
საჭმლის საყიდლად შენახულ „მაყუთს“.

# იშვიათი ჟურნალისტის იშვიათი კისერი



ჟურნალისტობას სხვა რა სჯობს,
გიცნობს სრულიად დუნია,
სიტყვა ჯადოსნურ ძალას ფლობს,
გარეგნობა კი ბუმია.
ასეთი კისრის პატრონი
ყოფაში აჩენს ბევრ „უცნობს“,
გოგოვ, იყავი გამგონი,
ეკრანზე ნუღარ კეკლუცობ.



# ელჩები

*ფოტოებზე ევროკავშირისა და
აშშ-ს მაღალი დონის ჩინოსნები.
კი, პირველი მართლაც მაღალია,
ხოლო მეორე...*



ფრთხილი ელჩები ფხიზლად არიან,
როდი აკლიათ ორატორობა...
მათთან ვერ ვნახე (ვწუხვარ ძალიან)
მე გენდერული თანასწორობა.

# შემოთავაზება



ქალისა იცი ზეპირად
ეროტიკული უბნები,
ნაოჭებშეპარებული
თუ ჯერაც ხელით უხლები.
რად გაწიწმატდი, რად ბრაზობ?
გთხოვ, არ წამოხტე სკამიდან...
რას ერჩი, ის ხომ გთავაზობს
ორს მაინც ცნობილ სამიდან.
ან
ნუ გაბრაზდები კაცო ლამაზო,
არ წამოვარდე სკამიდან...
რა ქნას, ეროტიკზონებს გთავაზობს,
ვფიქრობ ორს, მაინც სამიდან.

# უკბილო ქალი და საზამთრო



ყნოსავს, ვით ძვირფას
სუნამოს,
ალბათ, ახალი სტილია...
ყუნწის მოკვნეტას
თუ ლამობს,
დიდი ხნის მოწყვეტილია

# ღაბაბოსნები



ევროპის ნახვას ვეცადე,
ხან „ფორდით“, ხანაც „პიკაპით“,
ვერსად ვერ ვნახე ერთ კაცზე,
ორ-ორი ღაბაბ-ნიკაპი.

ჩემთანაც მგონი ორია,
ნიკაპიცა და ღაბაბიც,
ვერ დაიწუნებ, მგონია,
არ იძებნება საბაბი.



# სერენა უილიამსს






შენთან მოგებას ნეტავ ვინ ბედავს,
გვმოძღვრავ ხვალისთვის
ვიყოთ იმედით,
ოქროს ჩოგანში რომ ეძებ პედალს,
ხომ არ გგონია ველოსიპედი?
ეგ ჩოგანია, აშკარად ვხედავთ,
ჩვენ პირველ რიგში გვერგო
ბილეთი.

# ტელეწამყვანს



ტელეპროგრამის მაყურებელს
უყვარხარ ძლიერ,
კადრებს ალაგებ ჯადოსნურად,
შავ-თეთრს და ფერადს,
თვალებს ნუ ხუჭავ, გევედრებით, ნუ კარგავ იერს,
როგორც გჩვევია – გაუსწორე სიმართლეს მზერა.
ან
შენ არ გჩვევია დახუჭვა თვალის,
ყველაფერს ხედავ, ყველაფერს ამჩნევ,
იმედს იძლევი უკეთეს ხვალის,
ვერ იტან მელებს, ვერ იტან მაჩვებს.

* * *



***საქართველოში აშშ-ს ელჩი კელი დეგნანი და ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცერი***

საოცარი „ვიდია“,
სჯობს მსჯელობა ფაქტებზე,
რომ ევროპა დიდია
შეერთებულ შტატებზე

# „თხა და გიგო“




ირბინეს და ოფლი ღვარეს,
გაიტანეს გოლიც,
მაგრამ რაღაც არ მოსწონდათ,
ჩხუბს ფიქრობენ – მგონი.
გაიბღინძნენ, გაჯიუტდნენ,
არაფერი დათმეს.
ერთმანეთის შეჭმა სურდათ,
ლამის მუშტი დასცხეს.




მოტყუება რომ გაბედე,
უცნაური ფინტით,
ბიჭო... ერთი ამიხსენი –
თუ მჯობიხარ რითი?!
შენ რომ გოლი გაგვიტანე,
კარგი იყო მაშინ?!
თავში ხომ არ აგივარდა,
მითხარ, მიგებ რაში?..
ენას კბილი დააჭირე,
შენი ტოლი ნახე,
თორემ ისეთ დღეს დაგაყრი,
დაგამსგავსებ ნახერხს...
იღრინეს და იკამათეს,
უქმად ხარჯეს ძალა,
მსაჯმა ორივ მინდვრის მიღმა
კინწით „მიაბრძანა“.

# ბაგა-ბაღში



***ბავშვებო! ზღაპარი დამთავრდა... აბა, ჩქარა დაიძინეთ!***

მიღებულია – ბაგა-ბაღებში
ბავშვებს უამბონ ტკბილი
ზღაპარი,
მალე ეწვევათ რული თვალებში,
დასაძინებლად ყველა მზად არის.

კარგად შეხედეთ ახლა ამ აღმზრდელს,
თითქოს ამჩნევდეს მომხდურთა ლაშქარს...
ბავშვები შიშით ხუჭავენ თვალებს,
არ ნატრულობენ არც ძილს, არც ზღაპარს.

# დათუჩა



ცივი ამინდი როდი გაშინებს,
თბილი გაცვია ქურქი...
წავალთ, საითაც ხელით
გვანიშნებ,
ძმაკაცს ვიპოვით, თუ კი?!

# მამებისა და შვილების ამხანაგურ მატჩზე

გოლის გატანით მომკალ ამ ჯერზეც,
როგორღა მქონდეს შენი იმედი?!
არ ისარგებლო – გითხარ რამდენჯერ
სახელგანთქმული მესხის ილეთით.
ან
შე „ასეთო“, შე „ისეთო“,
ხომ დამპირდი გუშინ,
შენ რომ გოლს არ გაიტანდი,
არ მაჭმევდი სირცხვილს.
რა ვიცოდი თუ ტყუილებს
ატარებდი გულში,
ჩემში ნდობა აღარ შეგრჩა
„ვაი“ შენ და „ქუში“.



ან
სახლში დამპირდი (არ ვცდები მგონი),
არ მოგვიგებდით, არ შემარცხვენდით.
რად გაგვიტანე ამდენი გოლი,
ხან მარჯვენით და ხანაც მარცხენით.
ასე ადვილად არღვევ პირობას?!
როგორ შევხედო დედას თვალებში...
არ გაპატიებ უხამს ვირობას,
თუნდაც ჩავვარდე მძიმე ვალებში.
შე ცუღლუტო და შე არამზადავ,
იგემე ჩემგან ორიოდ წიხლი,
ბოდიშს მოიხდი, გისმენ, მზადა ვარ,
საათი ჩავრთე და წამებს ვითვლი.

# სარჩევი

წინათქმა ...2
ლომი და ჟირაფი ...3
შეშინებულ - გაოცებულ - გაოგნებულები ...4
ვაჰჩვენ! ...6
ძაღლი და წერო ...6
ბიჭო.....! ...7
კალათბურთელი ...7
ბუტია ...8
ცუგა! აბა შენ იცი ... ...8
ზოოპარკში ...9
ჩიტი-გვრიტი ...9
* * *(ვერ ვისწავლეთ) ... 10
მადიანი გოგონა ... 10
აი ტუჩები........! ...11
ძმაკაცების დამშვიდობება ...11
მგზავრსაც ხომ უნდა შერჩევა! ...11
აჩუკუდა ... 12
„სნუკერის“ მაგიდასთან ...13
ტუჩები თუ? ...13
* * *(სხვების მიბაძვა) ...13
ზეწოლა... ... 14
იფ-იფ! ... 16
* * *(სარკეში პრანჭვა) ... 16
პირია თუ გამოქვაბული ... 17
საით გაგირბის მზერა? ... 17
მიკროფონი ...18
* * * (სადღაც მსმენია) ...18
კოცნაც ასეთი უნდა ... 19
* * * (სიტყვა „მიყვარხარ“) ... 19
„მორდა“ ... 19
ღიპოსნები ...20
იშვიათი ჟურნალისტის იშვიათი კისერი ... 21
ელჩები ... 21
შემოთავაზება ...22
უკბილო ქალი და საზამთრო ...22
ღაბაბოსნები ...23
სერენა უილიამსს ...23
ტელეწამყვანს ...24
* * *(საოცარი „ვიდია“) ...24
„თხა და გიგო“ ...25
ბაგა-ბაღში ...26
დათუჩა ...26
მამებისა და შვილების ამხანაგურ მატჩზე ...27



ვახტანგ ჭანკოტაძე დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით.

თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე (ლაბორანტიდან სწავლულ მდივნამდე), ასევე რამდენიმე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების მედლის კავალერი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის. გამოცემული აქვს 50-მდე წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში